საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1281-03
17/08/2026

„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველ პირთათვის განაცხადის შემოტანის ვადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ რექტორის 2026 წლის 13 აგვისტოს N1256-03 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, რექტორის 2026 წლის 6 აგვისტოს N2149-02 ბრძანების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2026 წლის 14 აგვისტოს N12917-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველ პირთათვის განაცხადის შემოტანის ვადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ რექტორის 2026 წლის 13 აგვისტოს N1256-03 ბრძანების მე-6 პუნქტით განსაზღვრულ დანართში და ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის სახით.
2. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;
3. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, სამართლის სკოლას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეს, რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, უნივერსიტეტის კანცელარიას, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, განვითარების სამსახურს, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს, ბიბლიოთეკას, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს,ადმინისტრაციული პროცესების კოორდინაციისა და მართვის სამსახურს, საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურს,მატერიალური რესურსების სამსახურს, ლოგისტიკისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურს და ყველა დამხმარე ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს.

გიორგი გვალია

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი